ხელშეკრულება №99
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. წყალტუბო 22 მაისი 2015 წელი

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი გამგებლის კონსტანტინე მამისეიშვილი სახით და მეორე მხრივ, ი.მ. "იაკობ ჭიღლაძე" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი იაკობ ჭიღლაძის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მესამე პუნქტის „დ" ქვეპუქტის, "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-3 მუხლის მეორე პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №67 დადგენილების შესაბამისად, სოფლის მხარდამჭერის პროგრამის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ'' (შემდგომ – ,,ხელშეკრულება'') – შემსყიდველ ორგანიზაციასა და პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2,,შემსყიდველი ორგანიზაცია'' (შემდგომ ,,შემსყიდველი'') ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 ,,მიმწოდებელი'' ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება შერჩევაში და ასრულებს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.4,,ხელშეკრულების ღირებულება'' ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 ,,დღე'', ,,კვირა'', ,,თვე'' ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 გზის სამუშაოების, შენობების მშენებლობა-რეაბილიტაციის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება;

2.2 კლასიფიკატორის კოდი: (71300000);

2. 3ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების აღწერა მოცემულია დანართში.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 14721 (თოთხმეტიათასშვიდასოცდაერთი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურეობის მიწოდების შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე.

4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურებამიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2. ობიექტის მიღება ჩაბარება მოხდება შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი საექსპერტოდასკვნის საფუძველზე. ექსპერტის მომსახურების ხარჯებს გაწევს მიმწოდებელი.

6. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

6.1.მომსახურების მიწოდება განხორციელდება: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი;

6.2.მომსახურების მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2015 წლის 22 ივნისის ჩათვლით.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მოსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს მოსახურება სათანადო ხარისხით, ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით (უნდა შეესაბამებოდესსაქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის№ 57 დადგენილების პირობებს)..

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება), რომლის მიზანია მომსახურების შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

9. ხელშეკრულების პირობები

9.1 საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაუნდა შეიცავდეს:

ა) განმარტებითი ბარათი;

ბ) სამუშაოს მოცულობათა უწყისი;

გ) მუშა და სქემატური ნახაზები;

დ) არსებული სიტუაციის ფოტომასალა (ციფრული ფორმატით);

ე) გეგმები, ჭრილები, კვანძები და დეტალები სპეციფიკაციებით;

ვ) შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვები;

9.2მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 4 ეგზემპლარად და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებითი ბარათი და ა.შ.) უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით Sylfaen, ხოლო ნახაზები უნდა იყოს PDF ფორმატში, ამასთანავე თითოეული ფაილის ოდენობა ზომით არ უნდა აღემატებოდეს 7 მეგაბაიტს.

9.3 საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა შეესაბამებოდეს "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის№ 57 დადგენილების პირობებს.

9.4 საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მომზადდეს შემსყიდველთან შეთანხმებით, ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებით და სტანდარტებით.

10. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვისყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.3.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 30%-ის ოდენობით.

10.4. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

11.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა იურიდიული მისამართები

შემსყიდველი:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი გამგეობა
მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ.№25
ს/ს „ლიბერთი ბანკის" წყალტუბოს ფილიალი
ბ/კოდი: LBRTGE22
ა/ა №GE25LB0120123490525000
ს/კოდი: 221274546

მიმწოდებელი:

ი.მ "იაკობ ჭიღლაძე"
მის: ქ. ქუთაისი, ივ. ჯავახიშვილის I შეს, 22, ბ120
სს "თიბისი ბანკი" ქუთაისის ფილიალი
ბ/კოდი: TBCBGE22
ა/ა № GE13TB7979736010100004
ს/კოდი: 53001008646
ტელ: 551747406

მუნიციპალიტეტის გამგებელი
კონსტანტინე მამისეიშვილი

ბ. ს.

ინდ მეწარმე
იაკობ ჭიღლაძე

ბ. ს.

დანართი

N	ტერიტორიული ორგანო	სოფელი	პროექტი	თანხა
1	დღნორისის თემი	დღნორისა	გზის გაფართოება მოხრეშვა-გასწორება	421.95
2	დღნორისის თემი	ჭაშლეთი	ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბალასტით	160.38
3	მექვენის თემი	დერჩი	გზის რეაბილიტაცია წებოვანი ხრეშით	213.57
4	მექვენის თემი	ვანისჭალა	სარიტუალო დარბაზის დასრულება კეთილმოწყობა	152.88
5	მუხიანის თემი	მუხიანი	საბავშვო ბაღში მეორე სასწავლო ჯგუფის ოთახის და სველი წერტილის მოწყობა	120.00
6	მუხიანის თემი	მუხიანი	საავტომობილო გზაზე სიჩქარის შემაფერხებელი ბორცვების მოწყობა	72.00
7	მუხიანის თემი	მუხიანი	ქვაჩაკიძეების უბანში სანიაღვრე არხის მოწყობა	150.00
8	მუხიანის თემი	უკანეთი	საუბნო გზის შეკეთება	268.32
9	გუმბრის თემი	ბანოჯა	სანიაღვრე არხის მოწესრიგება	75.00
10	გუმბრის თემი	ხომული	საბავშვო ბაღის მშენებლობა	1039.65
11	სოფელი წყალტუბოს თემი	ჩუნეში	შიდა საუბნო გზების შეკეთება ღორღით	540.96
12	სოფელი წყალტუბოს თემი	მეორე უბანი	გზის საფარის მოწყობა ბეტონით	510.00
13	გვიშტიბის თემი	გუბისწყალი	სასოფლო კლუბის რეაბილიტაცია	300.00
14	გვიშტიბის თემი	პირველიწყალტუბო	შიდა საუბნო გზების შეკეთება ღორღით	450.54
15	გვიშტიბის თემი	გვიშტიბი	შიდა საუბნო გზების შეკეთება ღორღით	842.43
16	გვიშტიბის თემი	თერნალი	სანიაღვრე არხის მოწყობა და გზის შეკეთება ღორღით	450.00
17	ცხუნკურის თემი	ცხუნკური	საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	826.83
18	მაღლაკის თემი	მაღლაკი	საბავშვო ბაღის შენობის გარე ფასადის მოწყობა	180.00
19	მაღლაკის თემი	მაღლაკი	ამბულატორიის შენობისა და საპირფარეშოს მოწყობა	150.00
20	საყულიის თემი	საყულია	სკვერის ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები	120.00
21	საყულიის თემი	საყულია	კულტურის სახლის კაპიტალური შეკეთება	584.16
22	გეგუთის თემი	გეგუთი	შინმოუსვლელთა მემორიალის კეთილმოწყობის სამუშაოები	900.00
23	გეგუთის თემი	გეგუთი	კულტურის სახლის რეაბილიტაცია	1050.00
24	გეგუთის თემი	გეგუთი	საავტომობილო გზაზე სიჩქარის შემაფერხებელი ბორცვების მოწყობა	150.00
25	ოფშკვითის თემი	ოფშკვითი	მოსაცდელის მოწყობა	270.00
26	ოფშკვითის თემი	ოფშკვითი	საპირფარეშოს მოწყობა	210.00
27	ოფშკვითის თემი	ოფშკვითი	პარკთან მისასვლელი გზის ბეტონის საფარით მოწყობა	30.00
28	ქვიტირის თემი	ქვიტირი	საბავშვო ბაღის აშენება	1389.06
29	ქვიტირის თემი	ზედა მესხეთი	ღვარსადენისა და გზის რეაბილიტაცია	300.00
30	ქვიტირის თემი	ზედა მესხეთი	კლუბის რეაბილიტაცია	150.00
31	ქვიტირის თემი	ზედა მესხეთი	საბავშვო ბაღის შელესვა	30.00
32	ფარცხანაყანევის თემი	ფარცხანაყანევი	საბავშვო ბაღის მშენებლობა	2613.66
				14721

ი/მ „იაკობ ჭიღლაძე" (ს/კ 53001008646)